

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე წესი ადგენს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებსა და პროცედურას.

მუხლი 2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების უფლება

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურების ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.
2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.

მუხლი 3. უფლებამოსილი ორგანო

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებაზე გადაწყვეტილებას იღებს სტუ-ს რექტორი, არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით შექმნილი კომისიის/კომისიების (შემდგომში კომისია) დადებითი დასკვნის საფუძველზე.
2. კომისია იქმნება რექტორის ბრძანებით. კომისიაში უნდა შედიოდეს: სწავლების დეპარტამენტის წარმომადგენელი, ფაკულტეტის დეკანი ან მოადგილე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის წარმომადგენლები.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით მითითებულ ბრძანებაში ასევე განსაზღვრული უნდა იყოს განცხადების წარმოდგენის, მისი განხილვის, შესაბამისი გამოცდების ჩატარების, გადაწყვეტილების მიღების და ჩარიცხვის ვადები.

მუხლი 4. წარსადგენი დოკუმენტები

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველმა სტუ-ს უნდა წარუდგინოს:
 - ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესახებ (დანართი1);

- ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - გ) არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (ცნობა, სერტიფიკატი და ა.შ.).
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, სტუ-ს უფლება აქვს, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველს მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესამოწმებლად.

მუხლი 5. გადაწყვეტილების მიღება

1. განცხადების განხილვის პროცედურის ეტაპებია: ამ წესის მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება; არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ჩათვლა; გამოცდის ორგანიზება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.
2. კომისია ამოწმებს განცხადებას, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას გამოცდის ჩატარების შესახებ, რომელშიც აღინიშნება ის ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთა ფლობაც დადასტურდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, და კომპეტენციები, რომლებიც უნდა შემოწმდეს გამოცდით.
3. გამოცდაზე განმცხადებელი პრაქტიკულად ასრულებს ერთ ან რამდენიმე საკონტროლო სამუშაოს, რომელიც შეესაბამება იმ პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნასა და კომპეტენციებს, რომლის აღიარებაც ხდება. გამოცდის შედეგებზე შედგება კომისიის ოქმი (დანართი 2). ოქმში მითითება კომისიის დასკვნა განმცხადებლის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
4. წარდგენილი დოკუმენტაციისა და გამოცდის შედეგების გათვალისწინებით, სტუ იღებს გადაწყვეტილებას არაფორმალური განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
5. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოიცავს:
 - ა) დაწესებულების დასახელებას – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
 - ბ) განმცხადებლის ვინაობას;
 - გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;
 - დ) არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში – მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურს ან მის ნაწილს შეესაბამება

განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში – მითითებას შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ, და შესაბამის დასაბუთებას;

ე) ცალკეული კომპონენტების შეფასებებს;

ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

6. ცალკეული კომპონენტები უნდა შეფასდეს პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესაბამისად გათვალისწინებული შეფასების სისტემით.
7. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ აღემატება 1 თვეს.
8. გადაწყვეტილებას ხელს აწერს სტუ-ს რექტორი და წარუდგენს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სტუ-ს რექტორში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მიზნით.

მუხლი 6. პროფესიული განათლების III საფეხურის შესაბამისი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების თავისებურებები

1. პროფესიული განათლების III საფეხურის შესაბამისი არაფორმალური განათლების აღიარება იმ პროფესიის ფარგლებში, რომლის ათვისება არ არის შესაძლებელი მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტით დასადგენი ზოგადი კომპეტენციების საფუძველზე და რომლის ათვისებისათვის პროფესიული სტანდარტი ითვალისწინებს დამატებით სპეციალური კომპეტენციების ფლობას, შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვისა და სტუ-ს მიერ სპეციალური კომპეტენციების შემოწმების შედეგად, მე-4-მე-5 მუხლებით დადგენილი წესით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებაში დამატებით მიეთითება ინფორმაცია ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შესახებ.